

**კრიზისების დაძლევის პოლიტიკა კომერციულ ბანკებში გლობალური
პანდემიის (კოვიდ 19) ფონზე**
**Crisis management policies in commercial banks against the backdrop of the global
pandemic (Kovid 19)**

ნათია კახნიაშვილი - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
თსუ-ს მოწვე. ასოც. პროფესორი.

Natia.kakhniashvili@tsu.ge

Natia kakhniashvili - Doctor of Business Administration

TSU. Invited Associate Professor

Natia.kakhniashvili@tsu.ge

აბსტრაქტი. საბანკო სფერო წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სექტორს. პრაქტიკამ ცხადყო, რომ მსოფლიოს მოსახლეობისა და ბიზნეს სექტორის დიდი ნაწილი სარგებლობს ფინანსური ტიპის საშუაშუალო დაწესებულებებით. ეს მოცემულობა ხედავს როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებს. ის არის უმთავრესი დამაკავშირებელი რგოლი ეკონომიკის სუბიექტებს შორის კაპიტალის გაცვლის მიზნით და სწორედ კაპიტალის მოძრაობის ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის საბანკო სფეროზე. საბაზრო ეკონომიკა გარკვეულ წილად თავის თავში მოიცავს განუსაზღვრელობას გარემოში, რაც შესაბამისად რისკების სერიას ქმნის. გამონაკლისი არც საბანკო სფეროა, რომლის საქმიანობის უმთავრეს სტიმულს მომგებიანობა წარმოადგენს. ხშირად იცვლება საბაზრო კონიუქტურა, ამიტომ ბანკები თავის თავზე იღებენ არამარტო შიდა რისკებს, არამედ განიცდიან გარე რისკების ზემოქმედებასაც. გარე და განუსაზღვრელი რისკის კარგი მაგალითია დღეს არსებული პანდემია - covid 19, რომელმაც მთლიანად შეცვალა საზოგადოების ცხოვრება, გამონაკლისი არც ეკონომიკაა და მათ შორის არც საბანკო სფერო.

საკვანძო სიტყვები: ბანკი, პანდემია, საბანკო პროდუქტები, საბანკო სერვისები.~

Abstract. The banking sector is one of the most important sectors of the country's economy. Practice has shown that a large part of the world's population and business sector enjoys financial-type intermediary institutions. This data applies to both developed and developing countries. It is the main link between the subjects of the economy for the exchange of capital, and it is the largest share of the capital movement that comes from the banking sector. A market economy to some extent involves some uncertainty in the environment, which in turn creates a series of risks. The banking sector is no exception, the main stimulus of which is profitability. The market situation often changes, so banks take on not only internal risks, but also the impact of external risks. A good example of indefinite risk is today's pandemic - covid 19, which has completely changed the life of society, with the exception of neither the economy nor the banking sector.

Keywords: Bank, Pandemic, Banking Products, Banking Services.

პანდემიის ზემოქმედებით მნიშვნელოვნად შემცირდა ეკონომიკური აქტივობა, ამავე დროს გაიზარდა ფინანსური რისკები მთელ მსოფლიოში. ეს ყოველივე ნეგატიურად აისახა, რა თქმა უნდა, საბანკო სფეროზეც. იმის გათვალისწინებით რომ ეროვნული ბანკის მიერ დამატებით კაპიტალის დაწესებულმა მოთხოვნებმა და ასევე ბანკების წარმატებულმა შედეგებმა წარსულ პერიოდში გარკვეული საშუალება მისცა მათ გამკლავებოდნენ ამ რთულ პერიოდს, მაინც საკმაოდ დიდი რყევები გამოიწვია საბანკო სექტორში.

პანდემიის მასობრივმა გავრცელებამ გამოიწვია გარკვეული ბიზნეს საქმიანობების მთლიანად ან ნაწილობრივ შეჩერება, რაც, რა თქმა უნდა, პირდაპირ გავლენას ახდენს მათი გადახდისუნარიანობის შემცირებაზე. კომერციული ბანკის მომხმარებლები, როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირები, რომელთა ეკონომიკური აქტიუობა მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული, პანდემიამ მნიშვნელოვანი პრობლემები შეუქმნა. ამ პროცესის მიერ გამოწვეული რისკების შემცირების საკითხში კრიტიკული როლი დაიკავა კრედიტორების მიერ შეთავაზებულმა სესხების გადავადების პროგრამებმა, რამაც დროებით ფინანსურ კრიზისში მყოფ კომპანიებს და შინამეურნეოებს შეუმსუბუქა ფინანსური ტვირთი. დაკრედიტების პროცესის შენარჩუნების მიზნით ეროვნულმა ბანკმა საქართველოში ბანკებს კაპიტალის და ლიკვიდობის არსებული ბუფერების გამოყენების საშუალება მისცა. ამ რთულ პროცესს, რა თქმა უნდა ხელი შეუწყო სახელმწიფოს მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა ბიზნესის მხარდაჭერის კუთხით, რამაც მათი ფინანსური რისკების შემცირება გამოიწვია.


ქართული საბანკო სფერო განვითარების ახალ საფეხურზე იდგა იქამდეც, სანამ პანდემია გამოჩნდებოდა. მათი განვითარების ვექტორი მიმართული იყო მუდმივად ახალი ინოვაციური პროდუქტების დანერგვისკენ. პანდემიამ ხელი შეუწყო ონლაინ მომსახურების სრულყოფის პროცესის დაჩქარებას, ეს ეხება როგორც მობაილ ბანკის, ისე ინტერნეტ ბანკის პლატფორმების დახვეწას. დღესდღეობით, ინფორმაციულ სამყაროში ინტერნეტს უდიდესი როლი უკავია, რისი გამოყენებაც მთელ რიგ კონკურენტულ უპირატესობებს აძლევს კომპანიებს. გარდა ამისა საჭირო გახდა თავად თანამშრომლების უსაფრთხოების დაცვა, ამიტომაც შესაძლებლობის ფარგლებში თანამშრომლები გადავიდნენ დისტანციურ საქმიანობაზე. საქართველოს მაგალითზე „თიბისი“ ბანკმა 2100-ზე მეტი თანამშრომელი გადაიყვანა დისტანციური მომსახურების რეჟიმზე. კომპანიას ისიც დაეხმარა რომ 2019 წლის დასაწყისში ეჯაილ ტრანსფორმაცია დაიწყო, ამიტომაც ბანკის თანამშრომლების დიდი ნაწილი ამ ყველაფრისათვის უკვე მზად იყო. ბანკს უნდა დაეძლია გამოწვევები: თანამშრომლებისა და მომხმარებლების უსაფრთხოება. ასევე „თიბისი“-ის მაგალითზე, უნდა ავლნიშნოთ რომ ტრანზაქციების 95% ფილიალში მისვლის გარეშე ხდება, რაც ასევე მეტყველებს მაღალტექნოლოგიურ განვითარებაზე. „თიბისი“ ბანკმა ქართულ მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებს მათი საქმიანობის გასამართივებლად სხვადასხვა ინიციატივა შესთავაზა. შეიქმნა პლატფორმა tbc4u.vendoo.ge. ვენდუ არის საქართველოში პირველი ონლაინ მოლო, რომელიც აკავშირებს მომხმარებლებსა და მიმწოდებლებს მთელი საქართველოს მასშტაბით და უზრუნველყოფს პროდუქციის ყიდვა-

გაყიდვას საუკეთესო პირობებითა და მაქსიმალური კომფორტით. ხოლო მეწარმეებს თავაზობს გაყიდვების პლატფორმას, საწყობს, მარკეტინგს და სწრაფი მიწოდების სერვისით უზრუნველყოფას, რაც გაუმარტივებს მათ ბიზნესის გაფართოებას ონლაინ სივრცეში და საშუალებას მისცემს გაყიდონ პროდუქცია ქვეყნის მასშტაბით. ასევე საქართველოს ლიდერმა ბანკმა უზბეკეთის ცენტრალური ბანკისგან ლიცენზია მიიღო და 2020 წლის ივნისიდან საბანკო საქმიანობა უკვე უზბეკეთში დაიწყო. სტრატეგია და მიზნები აქაც თანამედროვე და ამბიციურია: უზბეკეთში თანამედროვე საბანკო ეკოსისტემის განვითარება როგორც საცალო, ისე მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის. მთავარი აქცენტი კი ციფრულ არხებსა და პარტნიორობაზე დაფუძნებულ დისტრიბუციებზე გაკეთდა.


საქართველოს ბანკი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ფინანსური ორგანიზაციაა, რომელიც აერთიანებს 2,5 მილიონზე მეტ მომხმარებელს და 8000-ზე მეტ თანამშრომელს, სწორედ ამიტომ სასიცოცხლო მნიშვნელობის იყოს ამ ორგანიზაციისათვის ისეთი ინოვაციების დანერგვა, რაც ფიზიკურ კონტაქტს შეამცირებდა არსებული რისკების გათვალისწინებით. საკმაოდ დახვეწილმა მობაილ ბანკის პლატფორმამ, მომხმარებელს გაუადვილა ნებისმიერი მომსახურების მიღება დისტანციურად.

2020 წლის აგვისტოში სესხების წლიუმა ზრდამ შეადგინა 12%, კურსის ეფექტის გამორიცხვით. აქვე საგულისხმოა რომ სესხების ფარდობა მშპ-სთან გრძელვადიან ტრენდს კვლავ აჭარბებს, რაც გამოწვეულია წინა პერიოდში საკრედიტო ზრდისა და გაცვლითი კურსის ეფექტის გამო. პანდემიის საწყის ეტაპზე საკრედიტო აქტივობა მკვეთრად შენეულა, თუმცა ბოლო თვეებში კვლავ გაიზარდა და საკრედიტო პორტფელის ზრდა 5-10%-მდე მერყეობს.

ნომინალური მშპ-ის და სესხების*



სესხების მშპ-თან ფარდობა (მშპ-ის %)



წყარო: სიმ; სტატსტა

სესხები მოიცავს ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიერ გაცემულ კრედიტებს და კომპანიების ადგილობრივ ობლიგაციებს, ფართობის გაპი გულისხმობს სხვაობას სესხების მშპ-თან ფარდობასა და გრძელვადიან ტრენდს შორის. აქვე საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ საწყისი პერიოდისგან განსხვავებით რისკების მაშტაბები და ფინანსური შედეგები უკეთესად შეგვიძლია ახლა შევაფასოთ. მოცემული ცხრილი გვიჩვენებს 2020 წელს კლებას ორივე მიმართულებით, მაგრამ ეს განსხვავებულია წლის საწყის პერიოდთან მიმართებაში და წლის ბოლო პერიოდისთვის, უკვე შეინიშნებოდა უკეთესი მაჩვენებლები.

არსებული პანდემიის პროცესში ბანკების როლიც გაიზარდა და მათი მხრიდან სამოქალაქო საქმიანობაში ჩართულობაც. მთავარი მიზეზი თუ რატომ ელიან ასეთ ჩართულობას ბანკებისგან არის მათი შემოსავლიანობა და გავლენა ქართულ რეალობაში. მაგალითად, შეიქმნა კორონავირუსის შეჩერების ფონდი, რათა მომხდარიყო რესურსების უკეთ გადანაწილება, მეტი სერვისებისა და სტაბილურობის შეთავაზება მათთვის ვისაც ეს ნამდვილად სჭირდება. სწორედ ამ ფონდში მოხდა ბანკების მხრიდან მილიონობით ლარის ჩარიცხვა.

საბედნიეროდ საქართველოს მასშტაბით ჩვენ უკვე ვხედავთ საბანკო სექტორის ჩართულობას კრიზისების მართვის კუთხით, თუმცა რამდენად ეფექტურია ის ახალი შეთავაზებები და ნაბიჯები, რომლებსაც ბანკები დღეს საზოგადოებას სთავაზობენ და რამდენად პასუხობს ბანკების რეაქცია თანამედროვე გამოწვევებს, კერძოდ კი იმ უცნაურ გარემოს, რომელიც დღეს ჩვენ კორონავირუსის პანდემიის გამო გვაქვს ქვეყანაში და ზოგადად მსოფლიოში. ეს შეკითხვა კვლავ აქტუალური რჩება, იმ ფინანსური გამოწვევების კვალდაკვალ, როგორიცაა ლარის კურსის გაუფასურება, ფასების არასტაბილურობა და ინფლაცია, რომელიც პანდემიურმა გარემომ კიდევ უფრო გაამწვავა ქვეყანაში უმუშევრობის დონის მატების ფონზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შალამბერიძე ხ, „საბანკო საქმიანობის ტენდენციები, პანდემია და საბანკო პროდუქტების ტრანსფორმაცია” სტატია, თბ., 2020;
2. „საზოგადოება და ბანკები”, <http://sab.ge/ge/useful-info/articles/118-sakredito-produktebi>, 2020;
3. საქართველოს ეროვნული ბანკი, თბ., 2020;
<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=4049>
4. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=5&kw=%E1%83%91%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83>